სასოფლო გაზეთი

გაზეთის ფასი:

	გაგზავნით ტფილისში და გარეშე ადგილებში:	გაუგზავნელათ: მან.
ერთის წლისა	4 მან.	3
ნახევრის წლისა	3	2
სამის თვისა	1 მ. 50 კ.	1 მ.

მესამე წელიწადი

გამოდის შაბათობით.

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისის „სასოფლო გაზეთის" რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, ხანის ქურხზედ. თ. მუხრანსკის სახლში. [illegible]

ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ контору редакціи „СЕЛЬСКОИ ГАЗЕТЫ", при типографіи Меликова и К-°.

ყოველ გვარი განცხადებანი სასოფლო სასამართლოებისა და აგრეთვე გლეხებისა დაიბეჭდება უფასოთ, და უნდა გამოიგზავნოს გაზეთის კანტორაში, რომელიც იმყოფება ტფილისში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში.

№ 5. შაბათი. III. 14 მარტს, 1870 წ.

შინაარსი:

ამხანაგობით თაენის შედგენა სოფლებში.— სხვა და სხვა ამბავი:—ხეების გასხვლის წესი.— სუროკების ჭერა.—პირუტყვის გასუქება.—სელი და ცხვარი.—სახალხო შკოლებზე.—დარიგება მოყვანისათვის ტრაპიზონის თამბაქოსი.—ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის მიწერილობა.- განცხადებანი.

ამხანაგობით თავნების შედგენა სოფლებში.

ბანკს ამუშავებენ ხოლმე ყოველ კვირაობით წირვის შემდეგ. იმ დღეს მოიტანენ ხოლმე საყდარზე ხაზინის ყუთს, თან წამოჰყვება ხაზინადარი და გამგებელი. ვისაც უჭირს, იმას სესხათ აძლევენ და თან აგროვებენ იმათგან, რომელთაც სესხი შემოუტანიათ, აგრეთვე რომელსაც არ შეუტანია საამხანაგო წილი თვისდათვის თავზე, იმასაც სთხოვენ; ვისაც მომეტებული ფული ჩაუგდია ხელში, იმასაც შეაქვს ბანკში შესანახავათ, რომ კანონიერი სარგებელი იღოს იქიდგან. ვინც ბანკიდგან ფულს სესხულობს, იმან უნდა წარმოადგინოს ორი თავდები, რომელნიც კისრულობენ ნასესხები ფულის გადახდას, თუ ვინიცობაა მოსესხემ არ შემოიტანა თავის დროზე.

*
* *

უნდა ვთქვათ, რომ რაც ბანკი დაწესებულა, მას აქეთ ეს სამიწელიწადი გავიდა და ამხანაგობას კაპეიკი არ დაჰკარგვია. ყველას თავის დროზე შემოჰქონდა ხოლმე. მხოლოდ ორჯერ მოხდა, რომ ხაზინადარი და გამგებელი დაემუქრენ ადგილ-მამულის გაყიდვას, თუ არ შემოიტანეთო; ერთხელ თვითონ თანდებსაც კინალამ გაუყიდეს ადგილი სესხის გადაუხდელობისთვის.

*
* *

ყოველმა მოსესხემ ბანკიდგან ნასესხი ფული ექვსი თვის განმავალობაში უნდა გადაიხადოს ხოლმე; მაგრამ თუ ამ დროის განმავლობაში ვერ მოასწრო, სამთვეს კიდევ დაალოდებიან თანდების შუამდგომელობით. ერთი სიტყვით მოსავლის გაყიდვამდის არ მოეთხოვება გლეხს, რადგან იციან, რომ გლეხი ან ნამუშევრის გაყიდვით იღებს ფულს, ან ჯამაგირით, რომელიც ვადაზე ადრე არ ეძლევა პატრონისაგან. იმიტომაც დანიშნულია ასე დიდი ვადა ვალის გადასახდელათ.

*
* *

გლეხს ფული სჭირდება ხოლმე ან ძროხის და ან ცხენის საყიდლათ, ან ხეების გამოსატანათ, ან ტყის შესაკვრელათ და ტყეზე სახარჯავათ. ფულია აგრეთვე საჭირო შეძლებული გლეხებისათვის იარმუკებზე სავაჭროთ. მაგრამ როცა გააჩენენ საზოგადოთ რამდენი უნდა მიეცესთ სესხათ, მაშინ უფრო ღარიბ გლეხობას მიაქცევენ ყურადღებას და გასჭრიან რაზედ მეტი აღარ შეიძლება მიეცეს მარტვა-ხელ გლეხსა. ამნაირათ გადაწყვიტეს, რომ ერთბაშათ ხუთ თუმანზე მომეტებულის სესხება შეუძლებელია.

*
* *

სარგებელი თვეში თუმანზე ორი შაური არის დაწესებული. თავისთავათ ეს სარგებელი არ არის ბევრი, ამიტომ რომ სხვა კაცი თვეში თუმანს აბაზათაც არ ასესხებს. ამას გარდა ორი შაური სარგებლისგან ნახევარი ბანკის სესხში მიდის და ნახევარი ისევ ბანკში რჩება თვითონ სარგებლის მძლეველი გლეხის სასარგებლოთ; მართლა რომ ვთქვათ გლეხი ორშაურზედაც ნაკლებს სარგებლის აძლევს ბანკიდგან ნასესხებს ფულში.

*
* *

როგორც წინანდელს „სასოფლო გაზეთის" ნომერში მოვიხსენეთ, ამხანაგობა დაიწყებს ხოლმე იმ თავნის მუშაობას, რომელიც ისესხა გარეშე პირისაგან მთელი თემის თანდებობით. ლუგინინი ამბობს, პირველად ჩემი მამულისაგან ისესხა ამხანაგობამ ძირი თავნი. შემდეგ როდესაც ამ თავნის საქმე კარგა წავიდა, რამდენიმე ფული კიდევ ვასესხეო. ახლა ამხანაგობას საქმის კარგა წაყვანით ისეთი ნდობა აქვს, რომ გარეშე პირებისგანაც ადვილათ შოულობს ფულსა.

*
* *

ამხანაგობამ დიდი ხნის ვადით უნდა ისესხოს ხოლმე ძირი-თავნი და რიგიანათ რომ წავიდეს საქმე, შესაბამათ კი არა ცოტცოტათ უნდა იხადოს. ამისოთ ამხანაგობის საქმე ყოველთვის განსაცდელში იქნება. ამ ძირი-თავნის გარდა თუ კარგი მოგება აქვს, მოკლე დროითაც უნდა ეძიოს ხოლმე სესხი ოთხი ან ექვსი თვის ვადით. ეს ყველამ უნდა იცოდეს, რომ რაც უფრო ბევრი ფული

დატრიალდება ალებ-მიცემობაში, ისე მოგებაც უფრო ბევრი იქნება. ამისთვის ამხანაგობას იმაზედაც თვალ-ყური უნდა ეჭიროს, თუ გარეშე სოფლებში ფული მოცლილია, ესე იგი თუ ვისმე შესანახავი აქვს, დაჭირებამდის შეუნახოს კიდეც.

*
* *

ლუგინინი გვაცნობებს, რომ როჟდესტვენსკის ბანკს თან და თან მომატებია ნდობა და სამი წლის განმავლობაში აი როგორ წარმატებით ყოლია ამხანაგობის ალებ-მიცემობასა. პირველ წელიწადს ლუგინინის მამულისაგან ჰქონდა ნასესხები გარდა ძირი თავნისა ოთხმოცი თუმანი; გარეშე პირებისაგან ოცდა ათი თუმანი. სულ ას ათი თუმანი; გლეხებისაგან კი არაფერი.

მეორე წელიწადს ლუგინინის ვალი ამხანაგობაზე დარჩა სამოცი თუმანი, გარეშე პირების ოცდა ათი თუმანი და გარეშე სოფლების გლეხებისაგან აიღეს ორმოცი თუმანი. სულ მეორე წელიწადს ვალათ ჰქონდათ ას ოცდა ათი თუმანი.

მესამე წელიწადს ლუგინინისა და გარეშე პირების ვალი იგივე დარჩა, მაგრამ სხვა სოფლების გლეხობამ ასესხა ორმოცდა ათი თუ- [illegible] ორმოცი თუმანი და ორი მანეთი ჰქონდა სესხათ წამოღებული ამხანაგობას.

*
* *

აქედგან სჩანს, რომ პირველ წელიწადს ამხანაგობას სულ არა ჰქონია ნდობა გარეშე სოფლების გლეხობაში. მეორე წელიწადს როცა დაინახეს, რომ ამხანაგობის საქმე კარგათ მიდის, გლეხობამ თავის გადანარჩენი ფულის შეტანა დაიწყო ამხანაგობაში, ნდობა თანდათან ემატებოდა და თანდათან ბევრს ფულსაც მოულობდა სასესხებელათ: ასე რომ ამ ჟამად როჟდესტვენსკის ბანკი არც კი საჭიროებს ლუგინინის მამულიდგან დახმარებას. იმდენი ნდობა მოუპოებია თემობაში, რომ თვითონაც კარგათ აწარმოებს საამხანაგო თავნის საქმესა.

*
* *

რაც ქონება აქვს ამხანაგობას, ფულიც მისდაგვარათ უნდა ისესხოს ხოლმე სხვისაგან. რამდენათაც უფრო ბევრი ქონება შეემატება ამხანაგობას, ან ახალი ამხანაგების შერევით, ან საწილო ფულის შეტანით იმდენათ უფრო ბევრი შეუძლიან ივალოს, მაგრამ ქონების შეუფარდებლათ ან რისაც გადახდა არ შეუძლიან, იმაზე მომეტებულის სესხება არაოდეს არ უნდა იკისროს ამხანაგობამ, რომ რაიმე განსაცდელში არ ჩააგდოს თავისი თავნის საქმე.

*
* *

საამხანაგო თავნში რა ქონება აქვს თემს? იმისი ქონება აი ეს არის: ყოველმა ამხანაგმა თვეში სამი შაური უნდა აძლიოს ბანკს თავის წილის შესადგენათ. მაშ წელიწადში შესდგება ყოველ გლეხის წილი ცხრა-აბაზი. ამ ერთი გლეხის წილს დავარქვათ ფსონის ფული. როჟდესტვენსკის ბანკში პირველათ დააწესეს, რომ ფსონის ფული ყოველთვეობით ეხადნათ; მაგრამ ეს მოუხერხებელი გამოჩნდა, ამიტომ რომ გლეხებმა ყოველთვეობით ვერ შეიძლეს შეტანა, რადგან იმათ მოგებას თავისი დრო აქვს—შემოდგომა ან წლის გასული, როდესაც გლეხი ნამუშევრის გაყიდვით ან ჯამაგირით მოულობს ხოლმე ფულს. ამისთვის ამხანაგობამ დააწესა ფსონის ფულის ღება ყოველი ამხანაგისაგან ან წლის გასულს, ან მოსავლის გაყიდვის დროს.

*
* *

ყოველს ამხანაგს ხუთი თუმანი ფსონის თული უნდა ჰქონდეს ბანკში და ამის გამო სანამდის იმდენი არ გახდება, მანამდის ყოველ წელს უნდა აძლიოს ბანკს ხვედრი ცხრა აბაზი. თუ ვინიცობაა გლეხმა აღარ ისურვა ამხანაგობაში ყოფნა, როცა გამოვა თავის ფსონის ფულს და ხვედრს სარგებელს სრულიად გამოიტანს ბანკიდგან.

*
* *

ბანკის მოგება წლის გასულს უნდა დარიგებოდა ამხანაგობას იმ წესით, რამდენიც იმის ფსონის ფულს შეხვდება. ვთქვათ პირველი წლის გასულს ბანკმა მოგება ნახა ერთმანერთზე ათი შაური: ვთქვათ ყოველ გლეხს ფსონის ფული სამი მანეთი და სამი აბაზი ჰქონდა ბანკში შეტანილი. რადგან მანეთზე ათი შაური მოგება დარჩა, სამი მანეთის წილობაზე მანეთ ნახევარი უნდა ხვედრიოდა და სამ აბაზზე ექვსი შაური, ასე რომ სულ თავის ფსონში ცხრა აბაზი შეხვდებოდა, რომელიც შეეძლო ყოველ ამხანაგს ფულათ მიეღო, მაგრამ ყველას რომ ამდენამდენი გამოეტანა, ბანკში თავნი ძლიან შემცირდებოდა და ბანკის ალებ-მიცემობაც აკლებდა. ამისთვის საზოგადოთ არჩიეს: მოდი, ნუ გამოვიტანთ, რაც გვერგება ისიც ბანკში დარჩეს და ფსონის ფულს მიემატოს, თითო ამხანაგის წილს ხუთ თუმანს მალე შევადგენთ და წლობით რომ ცხრა-ცხრა აბაზი შეგვაქვს ხუთი თუმნის შესადგენათ, იმას მალე შევიტანთო.

*
* *

როჟდესტვენსკის ბანკის წეს-დებას რომ ადგენდენ, ერთი მუხლი დასდვეს, რომლის ძალითაც, თუ ჰსურდა ან შეძლება ჰქონდა, მთელი ფსონის ფული რიცხვით ხუთი თუმანი ყოველ-ამხანაგს შეეძლო ერთბაშათ შეეტანა. ამ მუხლმა ისეთი აყალ-მაყალი შემოიტანა საზოგადოებაში, რომ ეს საქმე დაწვრილებით უნდა განვიხილოთ.

*
* *

მეორე წელიწადს ბანკის გახსნის შემდეგ ერთმა ამხანაგმა ფსონის ფული ბანკში მთლად შეიტანა, ესე იგი ხუთი თუმანი და ანგარიშის დროს სარგებელი იმას ხელში უნდა მისცემოდა, რადგან კანონით ხუთ თუმანზე მეტი ფსონის ფული არავის უნდა ჰქონოდა. როცა გამოიანგარიშეს, გამოვიდა, რომ საამხანაგო ფულმა მანეთზე ოთხი აბაზი მოიტანა სარგებელი. ასე დიდი სარგებელი იმიტომ დადგა, რომ საქმის მწარმოებლებს—ხაზინადარს და გამგებელს ჯამაგირს არ აძლევდენ და ლუგინინმაც უსარგებლოთ ასესხა პირველ წელს ფული ამხანაგობას. სულ შესდგა ნაღდი შემოსავალი ოცი თუმანი და ერთი მანეთი, ნახევარ კაპეიკებს არ ჩავთვლით. ხუთი თუმნის პატრონს ოცდა ხუთი მანეთი უნდა გამოეტანა. ამაზე გლეხებმა დაიწყეს ლაპარაკი, ეს როგორ შეიძლება ხუთი თუმნის პატრონი ოცდა ხუთ მანეთს იღებს და ლუგინინმა რომ სამოცდა ათი თუმანი გვასესხა, კანონიერი სარგებლით ოთხი თუმნის მეტი არ ერგებაო. ხუთ თუმანს ფსონის ფულს იმდენი სარგებელი არ უყვია ამხანაგობისთვის, რამდენიც მიაქვსო.

*
* *

ამაზე ჩვენ ვუთხარით—ამბობს ლუგინინი—ეს პირველ წელს მოხდა ასე, რომ ამდენი ერგო სრული ფსონის ფულის პატრონს, თორემ შემდეგ თან-და-თან იკლებს ეს სარგებელი. მაგრამ გლეხები მაინც უკმაყოფილებას არ იშლიდენ. ახლა სხვებმა რომ დაინახეს, ისინიც ცდილობდენ, როგორმე მალე შეეტანათ ფსონის ფული სრულად, რომ

რაც შეიძლება ბევრი მოგება დარჩენოდათ. ამ სახით მესამე წლის გასულს ოცდა სამს ამხანაგს ჰქონდა შეტანილი ფსონის ფული სრულად. აქედგან წარმოსდგა, რომ ზოგი ერთი შეძლებული გლეხები უყურებდენ ბანკს, როგორც კი მოგების საქმეს, რომლითაც შეიძლება კაცმა ჯიბეები მალე გაიესოს, ვისი ფულითაც უნდა იყოს, იმათთვის ერთია, ოღონდ კი მოიგონ. ამისთანა განზრახვა, რა საკვირველია, არ შეეფერება ბანკის დაწესებას, რომელმაც მთელი თემობა უნდა ასარგებლოს და ხელ-მოკლე კაცს შეეწიოს გაჭირვაში და არა შეძლებულებს მისცეს საშუალება გამდიდრებისა; ამისთვის კანონათ დასდვეს, რომ ვინც უნდა იყოს, მანეთზე ორი შაურის მეტი მოგება ხელში არ მიეცეს, არამედ ბანკში დარჩეს საწარმოებლათ, თუმცა ყოველი ამხანაგის წილი ხელ-შეუხებლათ იქნება და. როცა სულ გავა ამხანაგობიდგან, მაშინ თავის წილს ერთიანათ გამოიტანს.—ფსონის ფულსაც და იმის მოგებასაც.

*
* *

ახლა მოვილაპარაკოთ სულადთაენზე, რომელიც უნდა შედგეს იმ განზრახვით, რომ ვინიცობაა ამხანაგობის თავნმა რამე ზარალი ნახოს, სულად თაენს შეეძლოს ამ ზარალის შევსება, ან კიდეე ნდობა გაუდიდოს ამხანაგობას; ამიტომ რომ სესხების დროს შეიძლება სულად თაენზე უჩვენოს ამხანაგობამ, რომელიც ყოველთვის გადაუხდის მოვალეს თავის ფულსა. სულადი თაენი როჟდესტვენსკის ამხანაგობამ შეადგინა აი ამ ნაირათ: პირველი წლის მოგება ოცი თუმანი და ექვსი მანეთი კაპეიკებით გადალდვა ცალკე და დაარქვა სულადი თაენი. აჰასვე მიემატა იმის შტრაფის ფული, ვინც თავის დროზე არ გადაიხდიდა ამხანაგობის ეალს. შემდეგ წლებში ამ ფულის ნახევარი დაურიგდა სესხათ, დიდდებოდა თავისი სარგებლით და აგრეთვე შტრაფის ფულით ასე. რომ მესამე წლის გასულს სულადი თაენი შეეიდა ორმოცდა თერთმეტ თუმან შვიდ მანეთ ნახევრამდის.

*
* *

როდესაც სულადი თაენი ას თუმნამდის ავა, მაშინ შეიძლება იმისი სარგებელი საზოგადო კეთილ დღეობას, მაგალითად გლეხობის განათლებას, მოხმარდეს. ბანა ცუდი იქნება, რომ სულადის ფულის სარგებელმა ერთი ნიჭიერი გლეხის შვილი გამოარჩიოს და მასწავლებლათ გამოზარდოს, რომ შემდეგ ამ მასწავლებელმა სკოლა გახსნას იმავე ამხანაგობაში და მოამხანაგე გლეხების შვილი ზარდოს. ერთი სიტყვით საამხანაგო ფულის მუშაობა რაკი გადიდდება, იმას რა არ შეუძლიან მოახდინოს ერის კეთილ-დღეობისათვის.

*
* *

სულადი თაენი ხელუხლებად უნდა იყოს სანამდის ბანკის ფული მუშაობს და რამე დიდი აღებ-მიცემობა აქვს გამართული; როცა ეს საქმე გათავდება და ამხანაგობა სარგებელს დაითვლის წლის ბოლოს, სულადი თაენი თანასწორად უნდა გაიყოს ამხანაგებში. ახლა წარმოვიდგინოთ, რომ ახალი ამხანაგი მოემატა მესამე წელს. რადგან ესეც ამხანაგია, მესამე წელში გარეულს ამასაც იმდენი უნდა ერგოს სულადი თაენის ნაწილი, რამდენიც სხვებს, რომელნიც თავიდგანვე ერიენ ამ ფულის შედგენაში. სამართლიანი იქნებოდა თუ არა ეს საქმე?

*
* *

რასაკვირველია არ იქნებოდა, ამიტომ რომ ძველმა ამხანაგებმა თავისი შტრაფით და მოგებით შეადგინეს ეს თაენი, რომელშიაც ახალ ამხანაგს წილი არ ჰქონია და ახლა კი მოგება უნდა თანასწორათ გაუყოს. ამისთვის დასდვეს, რომ ყოველმა ახალმოსულმა, როცა ამხანაგათ გახდება, უნდა შეიტანოს ერთბაშათ სასულადო თაენი იმდენი რამდენიც თითო ძველ-ამხანაგს ერგება. ამ ფულს ეწოდება შესაყვანი ფული.

*
* *

პირველ წლებში ეს შესაყვანი ფული ბევრს არას იქმს, ასე რომ იმისი ერთბაშათ მიცემა წლის გასულს ახალ ამხანაგს არ გაუჭირდება, მაგრამ ოთხი ხუთი წლის შემდეგ, როცა სულადი თაენი ძალიან გადიდდება, თითო კაცის წილიც იმდენს დაიჭერს, რომ ახალი ამხანაგი თავის წილს ვერ მისცემს ერთბაშათ, მაშინ რასაკვირველია ნაწილ-ნაწილათ შეუძლიან შეიტანოს. ამაში ძალიან მოეხმარება თავის ხვედრი მოგება, წლის ბოლოს თუ არ გამოიტანს ხოლმე ბანკიდგან და დასტოვებს იქ, შესაყვანი ფულის გადასახდელათ.

*
* *

ახლა დავიბეჭდოთ ანგარიშით, თუ როგორ წარმატებით უელია როჟდესტვენსკის ბანკის ამხანაგობას სამის წლის განმავლობაში და აქედგან ნათლად დავინახავთ, რა სარგებლობაც შეუძლიან ბანკების გახსნას ჩვენ სოფლებში, თუ ვინმე რიგიანი მოთავე გამოჩნდა.

ამხანაგების რიცხვი.	ქონება	სესხი გაცემული ამხანაგობაში.
1ლი წელიწადი—138	—455მან.	და 38კ.—4,388მ.
2რე წელიწადი—142	—999 1½	——7,411—
3მე წელიწადი—185	2,402—½	——11,645

როგორც ამ გამოანგარიშებიდგან სჩანს პირველ წელიწადს ას ოცდა თერამეტი კაცი ყოფილა მოამხანაგე—ქონება ჰქონიათ ორმოცდა ხუთ თუმან ნახევრისა და სესხი გაუციათ ოთხას ოცდა თერამეტი თუმნის და რვა მანეთისა. მესამე წელიწადს ყოფილა ას ოთხმოცდა ხუთი ამხანაგი, ქონება ჰქონიათ ორას ორმოცდ თუმანზე მეტი და სესხი გაუციათ ათას ას სამოცდა ოთხ თუმან ნახევრისა. აქედგან ყველა შეიტყობს, თუ რა მალე გადიდებულა ამხანაგობის თავნის აღებ-მიცემობა.

*
* *

ბოლოს ვიტყვით რამდენიმე სიტყვას, თუ როგორ აწარმოებენ როჟდესტვენსკის ანგარიშს და რანაირათ მიჰყავთ საანგარიშო დავთრები. ამხანაგობას აქვს შემდეგი დავთრები: ა) სახაზინო დავთარში იწერება შემოსავალ გასავალი და უმთავრესი ანგარიში ამ დავთარშია გამოყვანილი. ამაში სწერია: ხაზინის ანგარიში ერთგვერდზეა გამოყვანილი, რამდენი ფული შემოსულა ერთი კვირის განმავლობაში, წარსული კვირიდგან რა დარჩენილა, ამ კვირაში რამდენი შემოსულა და იქვეა ჩანიშნული რომელი ფული სად არის ჩარიცხული. მეორე გვერდზე სწერია, რამდენი ფული მიეცა ამ კვირეში ამხანაგობიდგან. ეს ანგარიში აღებ-მიცემობის დაწყებიდგან მომდინარეობს და ყველას შეუძლიან შეამოწმოს. ყოველ კვირაში და ყოველ თვეში გამოჰყავთ ხოლმე შემოსავალ გასაელის ჯამი და ამოწმებენ კიდეც.

*
* *

ამ ხაზინის ანგარიშით გამოჰყავთ ა, სულადი ფულის ანგარიში; სარგებლის აღრიცხვა, რომელიც შემოდის ამხანაგებისგან გატანილს სესხში, სესხის ანგარიშიცა და იმის ანგარიშ, თუ ვინ არიან ამხანაგობის მოვა-

ლენი; დ) ძირი თავნის ანგარიში; ე) ფსონის ფულის ანგარიში; ვ) წლის შემოსავლის ანგარიში და იმისი განაწილება ამხანაგებში.

ამ წიგნით შეადგენენ ხოლმე წლის ანგარიშსაც. როგორც სჩანს მთელი ბანკის ანგარიში სულ ამ წიგნშია გამოყვანილი. მაგრამ აგრეთვე საჭიროა, რომ ყოველმა ამხანაგმაც თავისი ანგარიში იცოდეს,—რამდენი შეუტანია ამხანაგობაში, ან რა ნაწილი მოგებისა მიჰმატებია იმის ფულს, რა როდის უნდა გადუხადოს ამხანაგობას, ამისთვის იმას მიეცემა პაწაწა საანგარიშო დახაზული წიგნები, რომელშიაც ჩაწერილია მთელი იმის გადახდილი და გადასახადი და მთელი სესხიცა ვადის აღნიშენით, როდის რა უნდა შეიტანოს ამხანაგობაში.

* * *

ამ სახით სახაზინო დავთარში და საანგარიშო წიგნებშია ჩაწერილი მთელი ამხანაგობის ანგარიში. ამას გარდა კიდევ არის ერთი ა) წიგნი, რომელშიაც თანდები ჩასწერს თავის სახელსა და გვარს, აგრეთვე დანიშნავს დროს, როდის რა უნდა შეიტანოს იმ წევრმა, ან ამხანაგმა, რომელსაც თანდებათ დაუდგა; ბ) სია, რომელშიაც ჩაწერილნი არიან ყველა წევრები და იმათი სესხი იქვე დანიშნულია, ვის რამდენი გადაუხდია. ეს სია ერთი ჩახედვით აჩვენებს რამდენი ვალი აქვს წევრს, რომ რაც კანონით დადებულია, იმაზე მეტი შეცდომით არ მიეცეს გლეხს. გ) საზოგადო კრების ჟურნალი ანუ წიგნი, რომელშიაც ჩასწერენ ხოლმე, ვინ რა თქვა კრებაში, ან რამდენმა კაცმა ისურვა სხვა და სხვა რჩევის მიღება: მსურველების რიცხვი და არა მსურველებისა ნათლათ აჩვენებს უნდა მიიღონ, თუ არა წარმოთქმული რჩევა. სია ახალი მიღებული წევრებისა და სია კრებაში მოსული წევრებისა.

* * *

ამით ვათავებთ მოკლე აღწერას როჟდესტვენსკის ბანკის ამხანაგობისას. ეს აღწერა, რასაკვირველია, ძლიან მოკლე არის, მაგრამ რაც არის, ისიც ძალიან კარგათ აჩვენებს, რომ ამისთანა კარგი და ქვეყნის გამოსადეგი საქმე ჩვენშიაც შეიძლება რომ მოხდეს. ამ აღწერილობას ვუძღვნით ჩვენი ქვეყნის განათლებულ და შეძლებულ მებატონეებს, რომლების მოვალეობა არის იზრუნონ უწინდელი გლეხებისთვის. ქართლ-კახეთის მამულები იმდენი ვალით არიან დატვირთულნი, რომ იმათი გამოხსნა მხოლოდ სასოფლო ბანკის გამართვით შეიძლება. ამას გარდა თუ სოფლის ხალხს ნდობა არ ექნა და როცა ძალიან უჭირს, თუ მაშინ არ იშოვნა ხელის გასამართავი ფული, საზოგადოთ ჩვენი კეთილ დღეობა წინ ვერ წავა. როცა უჭირს, თუ მაშინ ვერც ხარს იყიდის, ვერც იარაღს და ვერც მუშას დაიქირავებს, მაშ რა უნდა ჰქნას მეოჯახემ, როგორ უნდა წაიწყოს ხელი ოჯახობაში. ამ შემთხვევაში განსაკუთრებით მიროვის პოსრედნიკებმა უნდა იკისრონ ამ კეთილის საქმის დაწყება. ჩვენის მხრით რაც კი შეგვეძლება ცდას არ მოვაკლებთ, რომ დაწვრილებით გავაცნოთ მკითხველებს „სასოფლო გაზეთისა“ ბანკის დაარსება და იმის საქმის წარმოება დაწვრილებით და საფუძვლიანათ.

სხვა და სხვა ამბავი.

ხეების გასხვლის წესი.

თუ ხე ზრდაში გამრუდდა, ვერც კარგათ დასრულდება და ნაყოფსაც ნაკლებათ გამოსცემს ხოლმე. კაცმა თვალი უნდა ადევნოს ხოლმე იმის სწორეთ გაზრდასა და თუ რამე გამამრუდებელი მიზეზი გამოუჩნდა, მოაცილოს. ამისთვის ევგენი ფორნეი ურჩევს:

1, რომ ეცადონ სწორი ზრდა არ დაუშალონ ხესა; რადგან ამაზეა დამოკიდებული კარგი და ბევრი ხილის მოსხმა.

კარგი ნაზარდი ხე ხილსაც კარგს ისხამს. ხე თუ ღონიერათ იზდება და ნაყოფს გვიანობამდის არ ისხამს, ფიქრი არ არის; ეს ნიშნავს, რომ ხეს ბევრი ღონე აქვს. თუ მართლა მებაღეს ჰსურს ნაყოფი გამოაღებინოს, უნდა გასხლას და მაშინვე აყვავდება.

* * *

თუ ცუდი ზდისაგან ან ბევრი ნაყოფის მოსხმით ხე ადრიდგანვე დაიტვირთა, დიდხანს ვერ გასტანს, ის მერე თანდათან აკლებს ნანაყოფის მოსხმას და მალეც ხმება.

2) ყოველი ხის ნაწილი ითხოვს, რომ მოუკლებლათ ჰქონდეს წყალი, ჰაერი, სითბო და მზე. რომელსამე ტოტებზე თუ ბევრი შტოები ახლო-ახლოს ასხია, ერთმანეთს დაუშლიან; ამას გარდა პაწაწა შტოები ნაყოფსაც უჩდილებენ და კარგათ არ დაამწიფებენ.

* * *

3) ერთი და იგივე ხის ნაწილები, თუ ერთი ხნისანი არიან, თანასწორნი უნდა იყვნენ სიგძითაც სისქითაც და ერთ რიგზე გაწვდილნი. ერთსა და იმავე ტოტზე თუ დიდი და პაწაწა შტოები ასხია, ზოგი სუსტია და ზოგი ღონიერი, ერთ ერთი იმათგანი უნდა მოიჭრას.

4) ხნით უფროსი ტოტები ტანითაც უფრო გაშლილნიც უნდა იყვნენ უმცროს ტოტებზე. მსხლის ხეს თუ წვერზე დიდი და ღონიერი ტოტები აქვს გამობმული, მაშინ ქვედა ტოტები მალე გახმება.

* * *

5) ყოველ ნაწილს ხისას თავისი დანიშნულება აქვს და, რაც შეჰფერის, იმას უნდა ასრულებდეს. თუ რაც საჭიროა იმას ვერ ასრულებს, მაშინ ჰხდება უსარგებლო და მავნებელი. თუ შტოს წვერმა კოკრის მაგიერათ ყვავილი გამოიღო, ნაყოფის დამწიფების შემდეგ აღარ იზდება და მეორე წელიწადს ხმება.

6) ნაყოფმა თავის ალაგზე იცის ხოლმე მობმა და ამისთვის წინათვე ყურადღება უნდა მიაქციონ ამისთანა ალაგებს. მაგალ. მსხალი მოებმება ხოლმე თითო წლის ტოტებსა; ამისთვის ყოველ წელს უნდა გამოიღოს ხოლმე მსხალმა ამისთანა ტოტები.

* * *

7) ხე იზდება თითო წლის შტოებით, ამისთვისაც უნდა გაისხლას ეს შტოები და ძალიან გაიხარებს; ძველი ტოტი რომ გასხლა, გახარების მაგიერათ კიდეც გახმება.

სუროკების *) ჭერა.

„ვოლგის“ გაზეთში და სიმბირსკის გუბერნიის უწყებაებში ვპოულობთ შემდეგს დაწვრილებითს ამბავს სუროკის მონადირეებზე ბალაშოვის უეზდში. მოვაჭრე ერთი ან ორი წლით დაიქირავებს მინდორს, დაიჭერს რამდენსამე მუშას, რაც სანადიროთ საჭიროა, ყველაფერს ყიდულობს და სადმე აუზთან აარჩევს კარვების დასადგმელ ალაგს. თითო მოკლულ სუროკში პატრონი აძლევს მუშას სამ

*) სუროკი არის ერთნაირი ვირთაგვას გვარი ცხოველი, თავსხვილი და ტანგძელი; ის იკეთებს ხვრელებს მინდვრებში და საშინელს ზარალს აძლევს მიწის მუშას. მთელი სამხრეთის გუბერნიები რუსეთისა ამ ცხოველისაგან აოხრებულია. მინდვრის თაგვებსავით დიდი პურის მტერნი არიან.

შაურს. სურკებს ხოცვენ პაწაწინა ტყვიებით, რომელსაც ასხმენ თვითონ ვაჭრები. ტყავი რომ არ გაფუჭდეს ცდილობენ ტყვიის ყელში მოხვედრას. ზოგჯერ მოხდება რომ თითო მუშა დღეში თორმეტამდი მოჰკლავს. დახოცილ სურკებს აწყობენ ერთ ქოხში და იქ ტყავს აძრობენ. ქონს ერთ დიდ ქვაბში აგროვებენ დასადნობათ და ტყავებს ჯოხებზე გააკვრენ გასაშრობათ. ზაფხულის ბოლოს სურკები ძალიან მსუქნები არიან და ბევრს ქონსაც აძლევენ. კარგი სურკის ქონი გირვანქა თხუთმეტ, ანუ ოც კაპეიკათ ისყიდება, მდარე რვა ანუ ათ კაპ. თითო სურკის ტყავი აბაზათ, ან ექვს შაურათ გადის. ქალაქს ბალაშოვში სურკების ვაჭრობა ძალიან გაძლიერებულა. ყოველ წელიწადს იყიდება ორი ანუ სამი ათასი მანეთისა. ვირთაგვას ქონი ფუთი ექვს მანეთამდინ და რვა მანეთამდის გადის. ამ სახით წელიწადში ყოველ სურკის მოვაჭრესას თუმნამდის მოგება ჰრჩება.

პირუტყვის გასუქება.

რეიზემ ბევრ ნაირათ გამოსცადა პირუტყვების გასუქება. ის ამბობს, რომ ძალიან ჩქარა პირუტყვის გასუქება არ მოხერხდებაო, ამიტომ რომ მონელების წინაალმდეგიაო. საზდო უნდა შეერგოს პირუტყვს, თორემ უმისოთ როგორ შეიძლება გასუქება. იმის აზრით მარცვლისა და ზეთიანი პურის ჭმევაც არ უნდა, ამიტომ რომ გასუქებითაც იმდენათ არ ასუქებს და ძვირიც არისო. თვითონ აი როგორ მოიქცა: ჯერ აძლევდა პირუტყვს უბრალო საჭმელს ბლომათ; ჭარხალი ანუ ბზით ნარევი ჭარხლის გამონაწური წვენიდა ცოტა მარცვალიცა სრულებით საკმარისია რქიან პირუტყვის გასასუქებლათ. ამ რიგათ რეიზე ასუქებს თავის რქიან საქონელს. მართლაც რომ იმისი საქონელი ნაქებია და დიდ სარგებლობასაც აძლევს თავის პატრონს.

სელი და ცხვარი.

აი, რას სწერენ ბევრ სამეურნეო ჟურნალებში: ერთხელ მწყემსმა გაჰყარა თავისი ცხვარი საძოვრათ, ძალლი არ გაატანა, რადგან ავათ იყო. ცხვრებმა გზაზე ნახეს სელით დათესილი ყანა და მოსძოვეს. ამ ყანის პატრონმა ნახა ესა და იმ წამსვე გაგზავნა მოსამართლეს მოსაყვანათ. ამათ გადასჭრეს, რომ ცხვრებს ზიანის მაგიერათ პირიქით მიუციათ პატრონისთვის დიდი სარგებლობა; ცხვრებს მოუძოვიათ სულ უსარგებლო ბალახი და სელს არ მიჰკარებიან. აი, როგორ შეიტყობა ხოლმე ხანდახან ბევრი სასარგებლო ცნობები.

— კიევის გაზეთში — „Кіевлянинъ“ სწერენ: ჩვენ გავიგონეთ, რომ აქაური მთავრობა აპირებს გლეხკაცებისთვის სასოფლო ბანკების გამართვას. ამ ნაირი აზრის სისრულეში მოყვანა, უეჭველია, დაუფასებელ სარგებლობას მოუტანს ჩვენი სოფლის ხალხს, რომელიც ძალიან შევიწროებულია ურიების სესხისაგან.“ —

*

შარშან შეუკრებიათ ცნობები ჩერნიგოვის გუბერნიის სასოფლო შკოლებზე და აღმოჩენილა, რომ ხალხის განათლება ამ გუბერნიაში ხეირიანათ ვერ მიდის. ამ ცნობებიდან სჩანს, რომ შკოლების საქმე მიდის ცუდათ იმიტომ, რომ მასწავლებლები არ არიან. ამის გამო იქაურმა ზემსტვოს კრებამ გადასწყვიტა, რომ ჩერნიგოვში უნდა გაიმართოს სამასწავლებლო სემინარია, რომლისთვისაც დანიშნა თავის შემოსავლიდგან — 6,070 მან. ამ სემინარიის პროექტის უსტავი ეხლა დამტკიცებულია სახალხო განათლებ. სმინისტრისაგან. ჩერნიგოვის სამასწავლებლო სემინარია იმ რიგათ იქნება გამართული, როგორც რიაზანისა და ნოვგოროდისაა; განსხვავება ის იქნება მხოლოთ, რომ ჩერნიგოვის სემინარია დახურული სასწავლებელი არ იქნება: ყოველ შაგირდს მიეცემა წელიწადში უეზდის საზოგადოების ფულებიდან 80 მან. და, საცა უნდა, იქ იცხოვრებს. —

დარიგება.

მოყვანისათვის, ტრაპიზონის თამბაქოსი.

შედგენილი გამოცდილებით

ი. ვ. სულხანოვისაგან.

გამორჩევა მიწისა თამბაქოს მოსაყვანათ.

თამბაქოს მოყვანა შესაძლებელია ყოველგვარს მიწის ნიადაგში მხოლოდ მოსაყვანათ უფრო გამოარჩევენ შავი მიწის ნიადაგს.

ამისთვის თამბაქოს მოსაყვანათ უკეთესათ მიღებულია დიდხანს ნასვენები შავი მიწის კორდი, ანუ ახლათ გატეხილი ახო; ამ გვარს მამულს მოჰყავს კარგი მოსავალი და ბევრით უკეთესი ღირსების თამბაქო, ე. ი. კარგის ფერისა და გემოსი, მხოლოდ იმ შემთხვევაში, სადაც ძნელათ საშოვნელი იქნება, ამ გვარი ღირსების მამული, მაშინ მაინც და მაინც გამოურჩიეთ ბუნებით ღონიერი ადგილი (ნაფუზვარი): იმ განეხვილის მამულის ხმარებას ჩვენ ვერ ურჩევთ, რომელიც ხანგრძლივ არ ყოფილა ხმარებაში ამ მიზეზის გამო, რომ ახლად განეხვილი მიწა ნამეტნავათ საქონლის სასუქით (ცხვრის ფეინის გარდა) დათესილს თამბაქოს უკარგავს თავის ღირსებას, რადგანაც ძალა მომეტებულად ალაღებს; სილაღისა გამო ფურცლები უტლანქდება და ამის გამო თამბაქო გამოდის მაგარი იცვლება და ეკარგება ყოველი შესანიშნავი კარგი ღირსება.

მიწის მდებარეობა.

თამბაქოსათვის გამორჩეულს მიწას ისეთი მდებარეობა უნდა ჰქონდეს, რომ აღმოსავლეთისკენ და სამხრეთისკენ მიქცეული იყოს, რადგანაც ჩრდილოეთის ცივი ქარები თამბაქოს ავნებენ.

თუ შეიძლებოდეს იმისთანა მდებარეობის მამული უნდა მოინახოს, რომ ჩრდილოეთის მხრით ბუნებით მოყუდროებული იყვეს, თუ ამისთანა მდებარეობის ადგილი ხერხათ არა ჰქონდეთ მაშინ, საჭირო იქნება, რომ ჩრდილოეთის მხრით [illegible]

ამასთან ნუ დაგავიწყდებათ, რომ სათამბაქოეთ გამორჩეულს მიწას ახლოს უნდა ჰქონდეს სარწყავი წყლის რუ, რადგანაც თამბაქო გადარგვის დროს მალ-მალ მოითხოვს რწყვას.

მიწის მომზადება თამბაქოს დასარგავათ.

დანიშნული მიწა თამბაქოს მოსაყვანათ უნდა უთუოთ მოიხნას შემოდგომაზედ და თუ შემოდგომაზედ მოხვნა ვერ მოასწროთ გაზაფხულზედ, რაც შეიძლოთ ადრე მაინც მოხანით, ეს უთუოთ ამისათვის არის საჭირო, რომ მიწა უფრო დაიწვის და მავნებელი ბალახი ამოვარდება. ამისათვის შემოდგომაზედ მოხნული მიწა მომეტებულად სასარგებლო იქნება ამ მცენარესათვის, ვიდრე გაზაფხულზედ მოხნული.

მოხნული მიწა აპრილის დამდეგს უნდა ხელმეორეთ მოიხნას და ერთის კვირის შემდგომ, დაფარცხოთ და ეცადოთ, რომ ბალახიდგან სრულიად გაწმინდოთ, ამ გვარის მოხნულის გასაწმენდათ ჩვენ ვხმარობთ მვრო-

პიულს რკინის კბილებიან ფარცხსა, რომელიც საგანგებოთ წმენდავს და ამტვრევს ბელტებსა, შემდგომ ამისა დაუკეთეთ კვლები, გინდ სიგძეზედ, გინდ სიგანეზედ მხოლოდ კვლების კეთების დროს დალარეთ, თოკი გააბით ერთ ზომაზედ დაკვალეთ და სწორე მომართულობა მიეცით და კვალადვე ეცადენით, რომ სათითაო კვალს კარგად უდგებოდეს რწყვის დროს წყალი.

თამბაქოს თესლის დათესა გადასარგავათ.

მარტის დამდეგს თამბაქოს თესლი დასთესეთ სანერგეთ, კარგათ გაწმენდილს და განეხვილს მყუდრო ადგილს, რადგანაც თამბაქოს თესლი ძალიან წვრილია, ამისათვის რომ მთესველს სქელი არ მოუვიდეს მესამედი ნაწილი მაინც ქვიშა გადურიეთ, შემდგომ დათესისა კარგათ გაცხავებულია, ძველი დამწვარი სასუქი ერთი თითის დადება დააყარეთ; თუ ქათმის დამწვარი სკინტლი ან ცხვრის ნეხვი იქნება ეს უფრო უკეთესი. შემდგომ დასტკეპნეთ ფეხით ასე, რომ რაც უნდა მაგრად დასდვა ხელი დატკეპნილმან მიწამან აღარ დაიწიოს. შემდგომ დასაფარებელი გააკეთეთ ამ სახით: ოთხი მოკლე კაპიანი ბოძი დაუსვით ოთხივე კუთხივ მიწიდგან ერთი ციდა სიმაღლეზედ ზედ ლატნები გაყარეთ, მასზედ ლასტები და ზემოდგან დახურეთ თივა ანუ ჩალა ასე დააფარეთ, რომ სიცივემ ვერ შეატანოს.

შემდგომი მოვლა გადასარგავად დათესილის ადგილისა.

რადგანაც მარტის თვეში ხშირათ არის ხოლმე ყინვა და სიცივე ნამეტნავათ ღამე, ამისათვის საფარებელი ადრე დილით არ უნდა ახადოთ ხოლმე დათესილს ადგილს, საფარებელი უნდა ახადოთ ყოველთვის მაშინ, როდესაც დღე მოთბეს და მზე მაღლა ამოვიდეს; და მორწყოთ პალევანიცით იქამდინ, რომ დათესილი ნიადაგი კარგათ გაიჟღენოს წყლით; მზის ჩასვლამდინ უნდა უთუოთ დააფაროთ საფარებელი და თუ შეხვდეს დღე ცივი, ან თოვლიანი და ქარიც იყოს, მაშინ არ უნდა აეხადოს საფარებელი, მინამ გამოიდარებს ესრეთ უნდა უვლიდეთ მარტის თვის გასვლამდინ. და როდესაც ბალახი შენიშნოთ უნდა დააცალოთ გაზრდა იმ დრომდინ, რომ შეგეძლოთ მათი დაგლეჯა ძირიანად; აქაც უნდა დიდი სიფთხილე, რომ ამოსულს თამბაქოს არ ავნონ. ამის შემდგომ თუ აპრილში არ იყო ცივი დღეები, მაშინ დღეში ორჯერ უნდა მოირწყოდეს დილით მეათე საათსა და სადილ შემდგომ მეოთხე საათსა. ამ თვეში ერთხელ კიდევ მოუნდება გამარგვლა თამბაქოს და რაოდენიც გაიზდება თამბაქო ეგოდენი ადვილი იქნება ბალახების გლეჯა; თუ მოხდეს რომ თამბაქო ხშირათ ამოვიდეს, მაშინ უნდა გამარგვლის დროს უფრო წვრილი თამბაქო დაიგლიჯოს, რომ სხვას უკეთესსა არ ავნოს; გამარგვლის შემდგომ უნდა მაშინვე მოირწყოს, რომ დაძრული მიწა ისევ გამაგრდეს და მიეკრას თამბაქოს ძირებს.

ამ სახით უნდა უვლიდეთ და უფთხილდებოდეთ მაისის თვემდინ და ამ დროსათვის კიდეც მომზადდება გადასარგავათ.

თამბაქოს გადმორგვა.

როდესაც თამბაქოს ნერგის გადარგვის დრო მოვიდეს, ამისათვის არის დრო დანიშნული მაისის პირველიდგან, ვიდრე ნახევრამდინ. მაშინ უნდა გადმორგოთ ამ შემთხვევისთვის მომზადებულს მიწაში, ამისთვის წინათვე უნდა შეუგდოთ წყალი, რომ კვლები კარგა გასთქოროს, შემდგომ დაუწყოთ დილით ძალიან ადრე რგვა იქნამდინ, ვიდრე მზე მოივლიდეს, აგრეთვე შუა დღის შემდგომ საღამომდის მრგველს წინ უნდა მიჰქონდეს ერთს დასველებულის კალათით თამბაქოს ნერგი დაუწყობდეს კვლებზედ ერთ ზომაზედ, ე. ი. ერთი-ერთმანეთზედ ნახევარ არშინზედ. (ამ ზომით თუ დაირგვის, დღიურ მიწაში მოთავსდება 46,200 ძირი), მრგველი უნდა მისდევდეს და სისწრაფით რგავდეს ასე რომ ერთ ხელში ეჭიროს წვერიანი ჩხირი, რომლითაც უკეთებდეს ფესოს, მეორე ხელით რგამდეს და უნდა უმაგრებდეს დარგვის დროს ძირსა, ახლად გადარგული თამბაქო მაშინვე უნდა მოირწყოს.

ყურის გდება, რომელიც უნდა ჰქონდეს შემდგომ თამბაქოს გადარგვისა.

თამბაქოს გადარგვის შემდგომ ყოველის ორის დღის გამოშვებით მესამეს დღეს უნდა მოირწყოს თამბაქო თუ ავი დარი და წვიმიანი დღე არ შეხვდეს. ეს უთუოთ საჭირო ამისათვის იქნება, რომ ამ დროს უნდა თამბაქომ გამოჰსცეს კიდევ ორ-ორი ანუ სამ-სამი ახალი ფოთოლი და კიდეც გაუმაგრდება ყლორტი და თვით თამბაქო ტანს [illegible] ეს უნდა მოხდეს ორის კვირის შემდგომ გადმორგვისა.

თამბაქოს თოხვნა.

გადარგული თამბაქო შემდგომ ორის კვირისა ანუ ამაზედ გვიან,—ეს ამაზედ არის დამოკიდებული რაკი ბალახი შენიშნოთ,—მაშინათვე უნდა დაუწყოთ თოხვნა. თოხვნის დროს უნდა იქონიონ მთოხნელებმან სიფთხილე, რომ ქორფა მცენარეთ არ ავნონ და თამბაქოს ძირებსა შემოუყარონ მიწა თითქმის ქვემო ფოთლებამდის და რაც შეიძლება ბოძეს ნიადაგი გაულალონ და უნდა დიდათ ეცადოთ, რომ რაც შეიძლებოდეს ჩქარა გაათავოთ ესრეთი მუშაკობა. ეს იქნება პირველი მიზეზი კარგის თამბაქოს მოსავლისა. შემდგომ უნდა მორწყოთ ოთხ დღეში ერთხელ ამ გვარი მორწყვა უნდა იყოს დაუყოვნებელი ივნისის (თიბათვის) გასვლამდინ, შემდგომ პირველის გათოხნისა, მიწის შემოყრისა ერთი ხელობა კიდევ მოუნდება; ამაზედ მეტს არ ისაჭიროებს, თუ მომეტებულათ ნოტიო წელიწადი არ იქნება.

შეყენება თამბაქოს მომეტებით გაზდისა დაკოდვით.

მკათათვის დამდეგს თამბაქოს თავებზედ გამოესხმის ყვავილის კოკორი, მაშინ ამოარჩიეთ რამდენიმე უკეთესი ძირი სათესლეთ; დანარჩენი მთლათ კოკრიანი წვერები დასხეპეთ ამ ლონისძიების მიღება ამიტომ არის საჭირო, რომ ძალა და წვენი ფოთლებში დაბრუნდეს, უმისოთ ფურცლები სრულათ არ ევარგებიან და თამბაქო იქნება სრულიად უგემო, უძალო და უსუნო.

გაფურჩვნა ანუ გამოფიქვა თამბაქოსი.

დაკოდვის შემდგომ თამბაქო უნდა გაიფურჩნოს შემდგომის სახით: ძირის და გვერდების მეტი ფურცლები უთუოთ უნდა მოემტვრას, რომელსაც ძალად ადვილათ შეატყობთ.

შემოსულის ფოთლების შეტყობა.

თამბაქოს შემოსვლას ამითი შეატყობთ, რომ ფოთლები დაეჭმუჭნება და წვერები ძირს მიწას დაეშვებიან და დაკარგვენ სიმწიფესა და მიიღებენ მოშავო მწვანეს ფერსა და შეიქ-

ნებიან მოყვითლო ხმლებიანნი და ზოგნი სრულებით გაყვითლდებიან, თუ ეს ნიშნები არ გამოსჩნდნენ, მაშინ კიდევ უნდა დააცალოთ შემოსვლა.

მოკრეფა ფოთლებისა.

როგორც ამის ზემოთ ითქვა, შემოსვლის ნიშანი რომ შეატყოთ, დაუწყეთ კრეფა, კრიფეთ უთუოთ კარგს დარში და არა ნოტიო დარში, რასაკვირველია ერთს დროს არ შეიძლება მოკრეფა, რადგანაც მთლათ ფოთლები ერთათ არ შემოვლენ, ამისთვის შემოუსვლელს დაუცადეთ შემოსვლა.

მოვლა შემდგომ მოკრეფისა.

მოკრეფილი ფოთლები მაშინვე წყობით ერთ ალაგს დააწყეთ ფურცლების პირის ერთმანეთზედ მიწყობით დაგვერდზედ აყუდებით; დახურეთ თივით, სამდღემდინ, ასე შეინახეთ შემდგომ ნახეთ, რომლებიც დაყვითლებული იყოს ამოარჩიეთ და სხვათ დააცადეთ შემოსვლა, მაგრამ ნახვას ნუ დაუგვიანებთ ხოლმე, რადგანაც ამ მდგომიარობაში თამბაქო ჩახურდება და თუ დაუგვიანდა მხურვალება ფოთლებს დასწვამს და გააშავებს.

გახმობა თამბაქოსი და ფოთლების ძაფებზედ ასხმა.

როგორც ამის ზემოთ ითქვა მოკრეფილი თამბაქოს ფოთლები როდესაც დაყვითლდებიან, მაშინ უნდა აასხათ ძაფზედ გასახმობათ; ამისთვის განგებ უნდა გააკეთებინოთ რკინის პრტყელი და წვერიანი ნემსის სარები და მომსხო კანაფის ძაფიც უნდა მზათ ჰქონდეთ. შემდგომ თვითვეულს სარის წვერზედ მოაბათ იმოტენივე სიგძე ძაფი, რა სიგძეც სარს ექნება და მოუბმელს ძაფის წვერზედ ააგოს ნემსი ასასხმელად, ამსხმელმან დაუწყოს სხმა ფოთლებს, ასე რომ ყოველი ტოლ-ტოლი ფურცლები ერთ ძაფზედ მოაქციოს და თვით ფურცლები წყობით იყოს ასხმული ქვემოთ პირთან ზემოთი პირი მიექციოს და ძაფი როდესაც გაიმსოს, ნემსს გამოუყაროს და ძაფი გაჰჭიმოს და ესეც სარის მეორე წვერს მიაბას ორ ადგილს ასხმულს ძაფს ამოზდოს ძაფი და სარზედ აკრას, რომ ფურცლებმა ძირს არ დაიწიონ. ასხმული და სარებზედ აკრული ფურცლებისთვის მყუდრო ალაგი უნდა მოუნახოთ, რომ ქარი არ ხვდებოდეს მოკლე ბოძები უნდა დაასმევინოთ და ზედ ლატნები გააყრევინოთ და დღისით, როდესაც კარგი დარი იყოს, გაჰფინოთ, მინამ სრულებით გახმებოდეს, ღამე და ავდარში სარაიაში ანუ დაფარებულს ადგილს უნდა შეატანინოთ.

დადასტება თამბაქოსი ფურცლების კონებათ.

როდესაც თამბაქო კარგათ გახმეს, მაშინ დადასტების წინათ ასხმული ძაფზედ ფურცლები უნდა დაკიდო ნოტიო ალაგს, ანუ სარდაფში; იქ რამდენიმე დღის შემდეგ დანოტიოვდება, მაშინ უნდა წააძროთ ძაფებიდგან და დაუწყოთ გადარჩევა.

ფურცლების გადარჩევა.

გადარჩევის დროს თავი ფურცლები შუათანა და ამათზედ მდარე ყოველი ცალცალკე გადირჩიოს, ასე რომ გაიყოს სამს ნაწილათ, პირველი თავი ყვითელი, მეორე თავი ალი წითელი და მესამე თავი უკანასკნელი უფერო და წესიერი ფოთლები.

გასწორება ფურცლების დადასტების დროს.

გადარჩეული ფურცლები დასწორების დროს, როგორც ზემოთ ითქვა, რომ ერთი ერთმანერთში არ აგერიოთ პირველი მეორე დ მესამე თავი ცალცალკე დააგროვეთ და შემდგომ სათითაო ფურცელს ფიცარი ქვეშ დაუდეთ და ზედ გაასწორეთ ამ სახით გამსწორებელი პირი დაჯდეს დაგროვილის ფურცლების გვერდზედ და წინ მუხლებზედ დაიდვას გარანდული მოკლე და პრტყელი ფიცარი მალოს და ასწოროს მოხსენებულს ფიცარზედ და გასწორებული ფურცლები მეორე პირმან ართვას და აწყოს დასტა-დასტად ამგვარათ, ძირის ფურცლის კარგი პირი გარეთ მოუქციოს, ამსახითვე დააწყოს ამავე ფურცელზედ წყობით ამაზედ ცოტა მომცრო ფურცლები 12—20დენ, ზემოთი უკანასკნელი ფურცელიც ქვემოთის ტოლი შეურჩიოს, ასე რომ დასტის შუა გულში დაწყობილი ფურცლები ქვემოთა და ზემოთ ფურცლებმან დაფარონ. შემდგომ ეს რიცხვი ე. ი. დასტა შეიკრას ასე რომ მოეჭიროს სიმინდის ტაროს ფოჩი ანუ ჭილობი,

დაწყობა დადასტებულის თამბაქოს ფურცლებისა.

თამბაქოს ფურცლები დასტებათ შეკრული უნდა დალაგდეს წყობით ერთი ერთმანერთზედ ორ ყრათ ასე, რომ ფურცლების წვერები არდიგარდმოთ ერთი ერთმანერთთან უნდა მოუქციოთ და ღეროები გარედგან მოექცესთ. ამათ დაალაგებთ იმისთანა ოთახში, სადაც ნოტიობის ფიქრი არ გექნებათ, ზედ დააწყობთ ფიცარს და კარგათ დააქვავებთ. აქ თამბაქოს ფოთლები დასწორდებიან და დადგებიან ნამდვილს ფერზედ დადუღების გამო ერთი ერთმანეთის შემწეობით. შემდგომ ამისა შეგიძლიანთ იხმაროთ.

თამბაქოს შენახვა.

როგორც ამის ზემოთ ითქვა, იმ სახით დალაგებულის თამბაქოს ფურცლებისა შენახვა დიდხანს შეიძლება, თუ მომეტებულის ნოტიობის ფიქრი არ გექნებათ, იმ ადგილისა, სადაც თამბაქო გექნებათ დალაგებული და შენახული. ამასთან რაც დიდხანს შეინახავთ, იმდენათ უფრო მომეტებულად სასარგებლო იქნება თამბაქოსათვის, რომელიც შენახვის შემდგომ კარგს ფერს და სუნს დაიჭერს.

თუ მეტი საჭიროება არ მოითხოვდეს, მაინც და მაინც თუ ნახევარი დაცალეთ, ამ მდგორეობაში და თუ გაზაფხულამდინ დააცლით, მაშინ მომეტებულს წარმატებას მიიღებს თამბაქო.

თამბაქოს ფურცლების შეკვრა ცალებათ გასაგზავნათ.

თამბაქოს დადასტებული ფურცლები წყობით სიგანით ერთი ერთმანეთზედ დააწყეთ სწორეთ იმ გვარათ, როგორც წინარე ამისა ითქვა, შემდგომ შეახვიეთ ჭილობში ანუ უბრალო ტილოში. მეჰკარით, მაგრა წერილის კანაფის თოკით და გვერდები მახათით შეუკერეთ.

ამ სახით შეკრული თამბაქოს ცალები, რაც უნდა შორს მანძილზედ გაიგზავნოს, წახდენისა ნუ გეფიქრებათ.

ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის განკარგულება.

უფ. უეზდის ნაჩალნიკებს და ქუთაისის გუბერნიის კერძო პოლიციებს.

25 თებერვალს 1870 წელს. ქუთაისის განყოფილების მომრიგებელი მოსამართლე ითხოვს დაწესებულ ტაქციას ყანების და მინდვრების მოძოვაზე. რადგან მინდვრებში სხვის საქონლის გაშვებაზე ბევრი ჩივილია ატეხი-

ლი და ამ საჩივრების გარჩევა ტაქციას დაუწესებლობით ითხოვს ბევრს დროსა და დიდ შრომას, ამისთვის ქუთაისის გუბერნიის საგლეხო საქმეების პრისუტსტვიამ დასდვა: სთხოვოს უფ. უეზდის ნაჩალნიკებს და მიროვის პოსრედნიკებს, რომ წარმოადგინონ თავისი აზრი, თუ რა ღონისძიებით შეიძლება ყანების დაფარვა პირუტყვისაგან. პრისუტსტვია ძრიელ საჭიროთ ჰხედავს იხმაროს ისეთი ღონისძიება, რომლის მიღებით სოფლების ყანები აღარ გაფუჭდეს, რადგან საქონლისაგან მინდვრების მოძოვნა დიდს ზარალს აძლევს მცხოვრებლებს ყოველ წლობით. ერთხელვე დაწესებული რიგი ამის შესახებ აფიქრებინებდა მცხოვრებლებს ისეთი საძოვარი ადგილების გაკეთებას, რომლების საშუალებითაც უკეთესად დაიწყებდენ საქონლის მოვლას და მოშენებას. ახლა კი უცოდინარობით პირუტყვის შენება ცუდათ იციან და იმის გაუკეთესებით მეურნეობაც გაუმჯობესდებოდა.

განცხადება.

შარშანდელ „მნათობის" სექტემბრის წიგნში უფ. ორბელი თავის „მიმოხილვაში" ამბობს სხვათა შორის „ქაცია, ადამიანის" გამოცემაზედ: „ასრე გამოცემული „ქაცია, ადამიანი" ძალიან იაფია, ასე რომ ღირსია უფ. მ. ბეთანიშვილი (ამ წიგნის გამომცემი) მადლობისა."

აგრეთვე 1870 წ. „დროების" მეორე №-ში ავტორი კრიტიკულ სტატიისა: „ჩვენი უბედური მწიგნობრობა ამ საუკუნეში", მიძღვნის მე მადლობას, როგორც „ქაცია, ადამიანის" გამომცემს, ამ სიტყვებით: „ჭეშმარიტად დიდი მადლობის ღირსია.... აგრეთვე უფ. მიხეილ ბეთანიშვილი, რომელმაც თავს იდვა ამის (ქაც., ადამ.) გამოცემა."

ვალდებული ვარ და სამართალიც მოითხოვს განუცხადო „დროების" მკითხველებს, რომ ზემოთ მოხსენებული ავტორებისაგან მადლობა საკუთრივ მე არ მეკუთვნის, ამიტომ რომ საკუთრივ მარტო მე არ მეკუთვნის „ქაცია, ადამიანის" გამოცემა. ავხსნი ამ სიტყვებსა:

1868 წ. ოკტომბერში, რამოდენიმე აქ მცხოვრებ ქართველებმა შევადგინეთ პატარა ამხანაგობა, რომლის მიზანი იყო გამოცემა ქართული წიგნებისა, როგორც ორიგინალური, აგრეთვე ნათარგმნებისაც. რადგან ჩვენს ამხანაგობას არ ქონდა იმდონი თანხა (ფონდი), რომ დაუყოვნებლივ გამოეცა წიგნები, ამისათვის ამხანაგობა მიიღებდა ფულით შემწეობას სხვა პირებისგანაც, ვინც ისურვებდა ამ საქმისათვის ხელის გამართვას. მიხეილ ზურაბის ძე ჭავჭავაძემ შემოჰსწირა ჩვენს ამხანაგობას 240 მან. წიგნების გამოსაცემად. ამ ფულებით ამხანამობამ არჩია „ქაცია, ადამიანის" გამოცემა და მომანდო მე ამ საქმის სისრულეში მოყვანა. ამხანაგობის მინდობილობით, მე გამოვეცი „ქაცია, ადამიანი„ ანუ, უკეთ ვჰსთქვათ, „ქაცია, ადამიანი" გამოსცა ამხანაგობამ და არა საკუთრივ მე.

რაც შეეხება იმას, რომ წიგნზედ გამოცხადებულია ჩემი გვარი, როგორც კერძო გამომცემელისა, და არა ამხანაგობის ფირმა, ამაზედ უნდა მოვახსენოთ მკითხველებს, რომ ჩვენ გვაქვს პატივსადები მიზეზები და საბუთები, რომლის გამო ჩვენ შესაძლოდ არ ვხდით ბეჭდვით გამოვაცხადოთ ეს მიზეზები. შარშან ივნისში, როდესაც „ქაც., ადამ." ეგზემპლიარები გამოვაგზავნე საქართველოში გასასყიდათ, მე მივსწერე ყოველ ჩვენს აგენტს დაწვრილებით ეს მიზეზები და ვფიქრობ, რომ სხვებიც შეიტყობდნენ იმათგან ამ მიზეზებსა; და, თუ ახლაც ჰსურს ვისმეს შეიტყოს, ვჰსთხოვ თბილისში მყოფთ მიმართონ ამაების ასასხნელად „დროების" რედაქტორს და სხვა ქალაქებში კი იმ პირებს, რომლებთანაც ისყიდება „ქაცია, ადამიანი" *).

მაშასადამე, მკითხველი ნათლად ხედავს, რომ ზემოხსენებული მადლობა საკუთრივ მე არ მეკუთვნის.

მ. ბეთანიშვილი.

19 თებერვალს, 1870 წ.
პეტერბურღი.

გასულის წლის „დროების" №№-ში გამოცხადებული იყო, რომ პეტერბურგში იბეჭდება და გამოვა „სურამის ციხე" დ. ჭონქარისა და რუსთველის სურათი. ვალად ვრაცხ განუცხადო „დროების" მკითხველებს, რომ, სხვა და სხვა მიზეზების გამო, დაპირებული სურათი და წიგნი ჯერ-ჯერობით არ გამოვა.

მ. ბეთანიშვილი.

1870 წ. 19 თებერვალს.
პეტერბურღი.

*) იმათი გვარი და სახელი გამოცხადებულია „დროებაში."

კერძოობითი განცხადებანი.

უფ. სულხანოვის **სამეურნეო ფერმაში**, რომელიც იმყოფება **ქართლში**, სოფ. ტირძნისის წრეში, მომავალს შემოდგომისათვის იქნება გადასარგავათ მომზადებული რამოდენიმე ათასი ხეები, დამყნობილი კარგის გვარის ხეხილებისაგან. **ეს ხეები გაისყიდება** ვაშლისა და მსხლისა თვითოეული—ორ აბაზათ; ატამი, ნუში, ალუჩა, გარგარი, ბალი და ალუბალი თვითოეული—ექვს შაურათ. ამასთან ყოველს მყიდველს მიეცემა დარიგება მოვლისათვის. თუ ჩვენგან ნასყიდის ხეებიდგან რომელიმე მოსცდება, მაშინ სანაცვლოთ მაგიერი მიეცემათ, უკეთუ ჩვენ მიერ მიცემული დარიგება, შესახებ მოვლისა, იქნება მათგან აღსრულებული. გორის უეზდის გარეშე მცხოვრებთა თავიანთი მოთხოვნილება უნდა გამოგზავნონ: ქ. გორს, ივანე სულხანოვის სახელზედ.

გორის უეზდის **გლეხებს** მუქთად მიეცემათ ხეები, თუ, ნაცვლად მიცემულს დამყნობილის ხეებისა, მოიტანენ ტყის გარეულს პანტას და მოახლოო ვაშლის ხეებს.

სწავლული მებაღეთ. დ. **ციციშვილი**

გორის უეზდის, სოფელს **ტირძნისს**, სადაც არის ენდროს პლანტაციები, **გაისყიდება** აგრეთვე, **ნარდათ**,— მიწიდან ამოსაღები **ენდრო**; მხოლოდ იმ პირობით, რომ თვით მყიდველმა ამოიღოს მიწიდგან ან ამ გაზაფხულზედ, ან შემოდგომაზე და ან მერმის. ამ საქმის თაობაზე მსურველს შეუძლია მიმართოს უფ. **ი. სულხანოვს გორში.**

Дозволено цензурою. Тифлисъ, 14-го марта, 1870 г. ს. მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში. რედაქტორი და გამომცემელი გ. წერეთელი.